ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N4

22.11.2023 წელი

დაბა ქედა,

სხდომა დაიწყო 15:00 სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა 15:55 სთ-ზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ჯემალ დავითაძე- კომისიის წევრი;
შორენა კარანაძე- კომისიის წევრი;
მინდია არძენაძე- კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
თეონა ჯინჭარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე საკრებულოს კომისიების საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით;

ლაშა ბერიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

დავით თედორაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

22.11.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
5	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
6	ჯემალ დავითაძე	კომისიის წევრი	
7	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	
8	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

1. „„ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი (წერილის ნომერი:12-95233192-95, 15.11.2023 წელი) და ძირითადად განიხილა აღნიშნულ ბიუჯეტში ასახული მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური საკითხები.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავჯდომარე ლევან ვერძაძემ აღნიშნა , რომ ფრაქციის გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილია ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნას ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის ქვეპროგრამებში შემდეგი წინადადებები:

1. **ოპერაციული მკურნალობის თანდაფინანსების ქვეპროგრამით (კლასიფიკაციის კოდი: 06 01 04)** გათვალისწინებული პირობები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, გაეწიოს დახმარება დარჩენილი თანხის 100% და 200 000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს 80%-ით, არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.

2. **მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარების ქვეპროგრამით (კლასიფიკაციის კოდი: 06 02 10)** გათვალისწინებული დახმარების თანხა გაიზარდოს 50 ლარით და განისაზღვროს შემდეგი სახით: 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირების დახმარება თვეში 150 ლარის ოდენობით, ხოლო 18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარების შემთხვევაში, მუდმივად ეტლით მოსარგებლე, ასევე მუდმივად მწოლიარე, თვეში 250 ლარის ოდენობით. წარმოდგენილი წინადადების გათვალისწინების შემთხვევაში ქვეპროგრამის ბიუჯეტი გაიზრდება 66000 ლარით და შეადგენს 246000 ლარს.

3. **მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკმანტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით (კლასიფიკაციის კოდი: 06 01 05)** გაფართოვდეს და დახმარების მიმღებ ბენეფიციარებად განისაზღვროს ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულაც 120 000-ს არ აღემატება. სოციალური სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით იმ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლთა სარეიტინგო ქულებიც 100 000-დან 120 000-ს შეადგენს, არის 90 (±10) ოჯახი, შესაბამისად, ქვეპროგრამის ბიუჯეტი გაიზრდება 20 000 ლარით.

კომისიის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს მიერ წარმოდგენილი წინადადებები მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას „„ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტში.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა დავით თედორაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წინადადებების მიმართ შენიშვნები არ გააჩნია.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა .

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „„ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის შესახებ წარმოდგენილი წინადადებები მოწონებულ იქნას.

2. კომისიის გადაწყვეტილება დასკვნის სახეით ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

სხდომის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

ოქმი შეადგინა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
დამხმარე მოსამსახურე საკრებულოს კომისიებს
საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით თეონა ჯინჭარაძე